საგანი – „მოქალაქეობა“ (საბაზო საფეხური)

სწავლა-სწავლების მიზნები

საგნის „მოქალაქეობა“ სწავლა-სწავლების მიზანია:

- ადამიანის წარმოჩენა მთავარ ღირებულებად;
- სოციალიზაციასა და თვითგამოხატვაში მოსწავლის დახმარება;
- სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესის გაღვივება;
- მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის კულტურის ჩამოყალიბება;
- პატრიოტი მოქალაქის აღზრდა, რომელსაც აქვს მზრუნველი დამოკიდებულება/პასუხისმგებლობა საკუთარი პიროვნების, ოჯახის, თემის, ქვეყნის *(საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ბუნებრივი გარემოს დაცვა, ეროვნული სიმბოლიკის, ინსტიტუციები, ეროვნული დღესასწაულების პატივისცემა)* მიმართ;
- პიროვნული ურთიერთობებისა და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების კვლევისა და შესწავლის გზით ეროვნული (სახელმწიფო ენისა და კულტურის პატივისცემა) და ზოგადსაკაცობრიო (თანასწორობა, ემპათია, ეთიკა) ღირებულებების ჩამოყალიბება.

DRAFT

ა) სწავლის შედეგები (საბაზო საფეხური)

საგნის „მოქალაქეობა“ ფარგლებში საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების **„საზოგადოება", "დემოკრატია", "მონაწილეობა", „მდგრადი განვითარება"** ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია:

სწავლის შედეგი	**შედეგის მიღწევის ინდიკატორები** – მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლე აცნობიერებსს რომ:
(1) საკუთარი პიროვნების განვითარების პროცესზე დაკვირვება *(საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გაანალიზება),* საკუთარი თავის აღქმა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის, ორგანიზაციის წევრად წარმატებული სოციალიზაციისა და თვითგამოხატვისთვის.	➢ ადამიანის პიროვნული განვითარების/სოციალიზაციის პროცესი დაუკავშიროს სოციალიზაციის აგენტებს, (მაგ: ოჯახი, სკოლა, სამეგობრო, მედია, კლუბი, სხვადასხვა წრეები, რელიგიური ჯგუფი და სხვ.) ღირებულებებს; ➢ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ერთმანეთთან შედარება არსებითი მახასიათებლების (ღირებულებები, ინტერესები, მასშტაბები, სტრუქტურა) მიხედვით; ➢ მიზეზებისა და ფაქტორების ახსნა, რომლებიც განაპირობებს შიდაპიროვნულ, პიროვნებათაშორის და საზოგადოებრივ კონფლიქტებს / ხელს უწყობს ადამიანს საზოგადოების წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში; ➢ ადამიანის პიროვნული განვითარების / სოციალიზაციის პროცესის განხილვისას არგუმენტების მოყვანა საკუთარი მოსაზრებების დასასაბუთებლად; ➢ ვარაუდის გამოთქმა / იდეების ჩამოყალიბება საზოგადოების / საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით / საზოგადოების იდეალურ მოდელთან დაკავშირებით; ➢ საკუთარი ინტერესების, მისწრაფების და შესაძლებლობების გათვალისწინებით პიროვნული, პროფესიული და კარიერული პერსპექტივების განჭვრეტა.	<u>სამიზნე ცნება **"საზოგადოება"**</u> - ადამიანი არის **პიროვნება,** საკუთარი მსოფლმხედველობითა (შეხედულებები, ღირებულებები) და მისწრაფებებით, რომელსაც აქვს განვითარების უფლება. სხვა ადამიანებთან/ **საზოგადოებრივ ჯგუფებთან/ორგანიზაციებთან** ურთიერთობა მას პიროვნულ განვითარებაში *(ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება, ემოციების მართვა, კომუნიკაცია, კონფლიქტების მოგვარება, თანამშრომლობა, ემპათია, თავდაჯერებულობა, ადექვატური-ობიექტური თვითშეფასება, თვითრეგულაცია, ასერტულობა, ეთიკის პრინციპებით ურთიერთობა)* უწყობს ხელს. ამ ურთიერთობის შედეგად ადამიანი ხდება საზოგადოების ნაწილი, რომლის წევრებს აქვთ **ერთიანობის განცდა** („ჩვენ“), საერთო **ინტერესი** და **საზრუნავი** *(კულტურული ღირებულებების დაცვა, ტრადიციების გათვალისწინება, ეროვნული თავდაცვა, კეთილდღეობა) ერთმანეთს უთანხმებენ* **ურთიერთობისა და ქცევის წესებს,** საერთო **მორალსა და ღირებულებებს.** სამიზნე ცნების „საზოგადოება“ გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევასა და სამიზნე ცნებების (ისტორიის სამიზნე ცნება „საზოგადოება“, გეოგრაფიისა – „მოსახლეობა“) უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად.

DRAFT

(2) ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, დემოკრატიის პრინციპების გააზრება სოციუმში სამართლიანად, ადეკვატურად და ეთიკურად მოქმედებისთვის.	➢ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაკავშირება ცხოვრებისეულ სიტუაციებთან; ➢ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვის/დარღვევის ფაქტების დაკავშირება სამართლებრივ დოკუმენტებში *(მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში)* გაწერილ ნორმებთან; ➢ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვასთან/დარღვევასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ისტორიების დაჯგუფება; ➢ საკუთარი, სხვა ადამიანების, ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების ახსნა სამართლებრივ დოკუმენტებსა *(მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე)* და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებით; ➢ სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიზეზებისა/შედეგების და მნიშვნელობის ახსნა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით; ➢ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება ადამიანის უფლებების/ სამართლებრივი დოკუმენტების/ დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით; ➢ ახალი იდეების გამოთქმა ადამიანის უფლებების/დემოკრატიის პრინციპების დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით; ➢ ადამიანის უფლებათა რეალიზების/ დემოკრატიის პრინციპების განხორციელებასთან დაკავშირებული ამბების/ისტორიების შექმნა.	<u>სამიზნე ცნება "დემოკრატია"</u> – **ადამიანს აქვს უფლებები და თავისუფლებები *(სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური),*** რომელთა დაცვასაც **საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები** *(საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და სხვა)* უზრუნველყოფს. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი ღირებულება და ხელისუფლების უზენაესი ამოცანაა. ხელისუფლების წყაროა ხალხი; მოქალაქეს აქვს როგორც უფლებები, ისე მოვალეობები. ხელისუფლება და მოქალაქეები **დემოკრატიის პრინციპების** *(კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება და კონტროლი, თანასწორობა, სამართლიანი არჩევნები, ტოლერანტობა, ხელისუფლების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, პლურალიზმი, ეკონომიკური თავისუფლება, მონაწილეობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება)* დაცვით მოქმედებენ. სამიზნე ცნების „დემოკრატია“ გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევასა და სამიზნე ცნებების (ისტორის სამიზნე ცნებები „ძალაუფლება“, „საზოგადოება“ და „წყარო“) უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად.

DRAFT

(3) საზოგადოებისთვის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ანალიზი საზოგადოების წევრების, ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოსავლენად	➢ საზოგადოებრივი საჭიროებების/ პრობლემების დაკავშირება მოქალაქეების/სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან; ➢ სათანადო მონაწილეობის ფორმის შერჩევა საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემის გადასაჭრელად; ➢ მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება ეფექტიანობის მიხედვით; ➢ კონკრეტული საზოგადოებრივი/პოლიტიკური პრობლემის მოგვარებაში საკუთარი, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტიტუციების ჩართულობის მნიშვნელობის დასაბუთება; ➢ არმონაწილეობის/ფსევდომონაწილეობის შედეგების/რისკების განჭვრეტა.	<u>სამიზნე ცნება **"მონაწილეობა"**</u> – დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გავლენა მოახდინოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე. საზოგადოებრივი გარემოს გაუმჯობესება შესაძლებელია მონაწილეობით, პირადი ჩართულობით. აქტიური მოქალაქეები **სხვადასხვა არამალადობრივი ფორმით** (მაგალითად, მოხალისეობა, ქველმოქმედება, არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში მონაწილეობა, მანიფესტაცია, ადვოკატირება, ლობირება, სოციალური მეწარმეობა, პეტიცია, გაფიცვა, ,,მოქალაქე ჟურნალისტობა“, დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა/შექმნა) **მონაწილეობენ** საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ხელისუფლების სტრუქტურებთან. სამიზნე ცნების „მონაწილეობა“ გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევასა და სამიზნე ცნებების (ისტორიის სამიზნე ცნებები „ძალაუფლება“, „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, „საზოგადოება“, გეოგრაფიისა – „მდგრადი განვითარება“) უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად.

DRAFT

(4) სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთმიმართებების ანალიზი ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების/ პრობლემების გასააზრებლად	➢ საკუთარი პასუხისმგებლობების დაკავშირება ლოკალურ პრობლემებთან და მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებთან; ➢ საკუთარი, სახელმწიფოს, საზოგადოების, ორგანიზაციების ქმედებების დაკავშირება მდგრადი განვითარების მიზნებთან; ➢ მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე სხვადასხვა ქვეყნის/თემის მხრიდან გაწეული ძალისხმევის/მიდგომების ერთმანეთთან შედარება; ➢ მდგრადი განვითარების მიზნებად გამოტანილი პრობლემების გამომწვევი მიზეზების ახსნა; ➢ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანების მნიშვნელობის ახსნა; ➢ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება გლობალური/ლოკალური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობასთან მიმართებით; ➢ ლოკალური/გლობალური პრობლემების მოგვარებისთვის ახალი, ინოვაციური სტრატეგიების განხორციელების პერსპექტივის შეფასება; ➢ მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების მიღწევის შემთხვევაში მომავალი მსოფლიოს/ლოკალური გარემოს სავარაუდო სურათის განჭვრეტა.	<u>სამიზნე ცნება **"მდგრადი განვითარება"**</u> - მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები არის დოკუმენტი, რომლის შესრულების აუცილებლობაზე საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა. ეს დოკუმენტი ეხება ბუნების, ეკონომიკისა და საზოგადოების მდგრადობასა და კეთილდღეობას. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება. ლოკალურ ქმედებებს (მაგალითად, ნარჩენების მართვა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა, რესურსების დაზოგვა და სხვ.) გლობალური შედეგები მოსდევს. სამიზნე ცნების „მდგრადი განვითარება“ გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევასა და სამიზნე ცნებების (ისტორიის სამიზნე ცნებები „დრო“, „სივრცე“, „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, გეოგრაფიისა – „მდგრადი განვითარება“) უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად.

DRAFT

ბ) შინაარსი

თემა	თემის აღწერილობა
სკოლა და თემი	თემა გულისხმობს სასკოლო გარემოსა და სამეზობლო თემის შესწავლას კულტურული მრავალფეროვნების/ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში; სკოლის სტრუქტურისა (მოსწავლეთა თვითმმართველობა) და მისიის (პოზიტიური სასწავლო გარემო) გაცნობას; სათემო და სასკოლო პრობლემების *(მაგალითად, გარემოსდაცვითი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, უთანასწორობის, არასრულწლოვანთა დანაშაულის, საგზაო უსაფრთხოების, ჩაგვრის/ბულინგის)* მოგვარების გზების გაანალიზებას.
ჯანსაღი ცხოვრება	თემა გულისხმობს ჯანსაღი ცხოვრების წესის (ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობები, ჰიგიენა, დასვენება) მენტალურ ჯანმრთელობასა და ეკონომიკაზე მისი ზეგავლენის („ჯანმრთელობის ეკონომიკა“) შესწავლას. ბავშვთა შრომის, ბავშვთა ქორწინებისა და ადიქციის (კიბერდამოკიდებულება, თამბაქოზე, ალკოჰოლზე, აზარტულ თამაშებზე, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება) უარყოფითი შედეგების გაანალიზებას.
სამოქალაქო საზოგადოება	თემა გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების არსის და მნიშვნელობის, საინიციატივო ჯგუფების, საზოგადოებრივი (ადგილობრივი და საერთაშორისო) ორგანიზაციების შექმნის შესაძლებლობებისა და მექანიზმების შესწავლას; ტრადიციული და სოციალური მედიის არსის, სახეების, ფუნქციებისა და გამოწვევების (დეზინფორმაცია და ყალბი ახალი ამბები, სიძულვილის ენა, პერსონალური მონაცემების დაცვა, რეკლამა მედიაში) შესწავლას;
ადგილობრივი ხელისუფლება	თემა გულისხმობს: ადგილობრივი ხელისუფლების არსისა *(სუბსიდიარობის პრინციპის)* და სტრუქტურის შესწავლას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოქალაქის ურთიერთობის ფორმების გაანალიზებას; ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ურთიერთმიმართების განხილვას.
ცენტრალური ხელისუფლება	თემა გულისხმობს დემოკრატიული და არდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმებისა და იდეოლოგიების, მმართველობის ფორმების, კონსტიტუციის როლისა და მნიშვნელობის შესწავლას; ცენტრალური ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებისა და ურთიერთმიმართების შესწავლას; ცენტრალური ხელისუფლების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების (მათ შორის ნაფიცი მსაჯულობა) და მნიშვნელობის გააზრებას.
სამოქალაქო უსაფრთხოება	თემა გულისხმობს იმ საფრთხეების (ანთროპოგენური, ტექნოგენური, სამხედრო, კიბერსაფრთხეები) გაანალიზებას, რომლებიც როგორც ცალკეულ ინდივიდს, ისე საზოგადოებას შეიძლება დაემუქროს; მათი თავიდან არიდების ან მათთან გამკლავების საშუალებების (ევაკუაციის გეგმა, პირველი სამედიცინო დახმარება, კიბერჰიგიენა) შესწავლას. თემა ხელს უწყობს მოსწავლის პატრიოტული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ მტკიცე ნებისყოფა, განუვითარდეთ ექსტრემალურ სიტუაციებში შეუცდომლად და უსაფრთხოდ მოქმედების უნარი, შეეძლოთ ურთიერთდახმარება, საკუთარი და გვერდით მყოფის უსაფრთხოებაზე ზრუნვა სხვადასხვა სახის საგანგებო ვითარებაში.

DRAFT

სამშვიდობო პროცესები	თემა გულისხმობს საერთაშორისო საფრთხეებისა (მაგალითად, ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი) და მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) შესწავლას; საერთაშორისო საფრთხეების თავიდან არიდების/შემცირების ალტერნატიულ გზებისა (მათ შორის ჰუმანიტარული სამართლის, როგორც პრევენციის საშუალების, საერთაშორისო სამშვიდობო მისიების) და სამშვიდობო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის საშუალებების გაანალიზებას; საქართველოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, ევროკავშირი, ნატო, გაერო) როლისა და მნიშვნელობის გააზრებას სამშვიდობო პროცესებში.
ეკონომიკა	თემა გულისხმობს: ეკონომიკური სისტემების, ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორების *(კერძო საკუთრება, ბაზარი, ყიდვა, გაყიდვა, ფული, ალტერნატიული ღირებულება, ბანკი, კონკურენცია, ბიუჯეტი, დაზოგვა, დაზღვევა, ინვესტირება, ინოვაციები),* მდგრადი ეკონომიკის კონცეფციის შესწავლას; ეკონომიკური უფლებების (მათ შორის, მომხმარებელთა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების) გაანალიზებას; მეწარმეობის და სოციალური მეწარმეობის არსის განხილვას. ფინანსური ინსტიტუციების (ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები) და მათთან ურიერთობის პრინციპების (მათ შორის ფინანსური თაღლითობების თავიდან არიდების გზების) შესწავლას; საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობის გაანალიზებას.

DRAFT